თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

„ფემინიზმის თავგდასავალი“

ფემინისტური კრებულის პრეზენტაცია ქუთაისში

მე-2 გვერდზე

ეროვნული ბანკი ქართული ვაზის თემაზე შექმნილი საკოლექციო მონეტის რეალიზაციას იწყებს

მე-2 გვერდზე

№6 (768) 10 - 16 ივლისი, 2017 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

პარტიების წინასაარჩევნო სამზადისი ქუთაისში და მერობის კანდიდატურათა ახალი ვერსიები

ზოგს „დიმიტრი გელოვანი“ უნდა მერად, ზოგი „ლუკა ასათიანის“ ფანია...

ქუთაისში ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების გააქტიურება უკვე შეიმჩნევა. მათ რეგიონულ ოფისებში აქტიურად დაიწყო კონსულტაციები პარტიული სიის პირველი ათეულის და ქუთაისის მერობის კანდიდატის დასასახელებლად. ყველა პარტიას თავისი იდეალი ყავს, ზოგს „დიმიტრი გელოვანი“ უნდა მერად, ზოგი „ლუკა ასათიანის“ ფანია, ზოგს ჯერ არ გადაუწყვეტია...

ამ ეტაპზე კონსულტაციის რეჟიმშია ნაციონალური მოძრაობის ქუთაისის ორგანიზაციაც, თუმცა აცხადებენ, რომ საარჩევნო ვადებს არ დაარღვევენ. მერობის კადიდატად კი გრიგოლ ვაშაძის და ხატია დეკანოიძის კანდიდატურები მოიაზრება.

ნაციონალური მოძრაობის ქუთაისის ორგანიზაციის ხელძღვანელი გიგა შუშანია აცხადებს: „ზუსტად როდის მოხდება წარდგენა, ვერ გეტყვით. რაც შეეხება ხატია დეკანოიძის და გრიგოლ ვაშაძის კანდიდატურებს, ვაშაძე თბილისის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელია და შესაბამისად, მისი კანდიდატურა გამოირიცხა. ხატია დეკანოიძესთან ისევ მიდის კონსულტაციები. მასთან ერთად, კიდევ რამდენიმე კანდიდატთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას. როგორც კი დასრულდება ეს რეჟიმი, საზოგადოებას მალევე გავაცნობთ კანდიდატებსაც და სიასაც.

ჩვენი ამოცანაა, რომ ქუთაისი გახდეს არამარტო საპარლამენტო ქალაქი, არამედ პოლიტიკური ცენტრი და ჩვენ ვარჩევთ შესაბამისი გამოცდილების, პოლიტიკური წონისა და პროფესიონალური უნარ-ჩვევების კანდიდატს.“

***

პოლიტიკური გაერთიანება „გირჩის“ ქუთაისის ორგანიზაციაში კი მერობის სავარაუდო კანდიდატი გამოკვეთილი არ არის და პარტიის პირველი ათეულიც უცნობია. ორგანიზაცია ორივე საკითხში აქტიური კონსულტაციის რეჟიმშია. თუმცა, „გირჩის“ ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელის, თემურ ცამციშვილის თქმით: "ჯერ არ გვაქვს გადაწყვეტილი, რა ფორმატით-,როგორ და სად მივიღებთ მონაწილეობას. რაც შეეხება ზოგადად ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემებს დაქუთაისს, პირველრიგში, ჩვენ არ გვყავს რეალური ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებას და მთლიანად დამოკიდებულია ცენტრალურ ხელისუფლებაზე. მეორე - არ გვყავს ადგილობრივი ლიდერები, ოცნების კანდიდატებს არა აქვთ პოლიტიკური ბექრაუნდი, მათი რეიტინგი გადის ბიძინა ივანიშვილის რეიტინგზე, და ბოლოს, - ადგილობრივი თვითმმართველობები რეალურ განვითარებას დაიწყებს, როდესაც იქნება პოლიტიკური ნება და მათ მიეცემათ, პირველ რიგში, ფინანსური დამოუკიდებლობა, ექნებათ საკუთარი შემოსავლები დაგარანტიები, რომ ცენტრალური ხელისუფლების გარეშეც შეძლებენ პრობლემების მოგვარებას, მანამდე ყველა დაპირება არის ტყუილი და თავის მოტყუება, სანამ საზოგადოება დაიჯერებს პოლიტიკოსების მსგავს სულელურ დაპირებებს, მანამდე ეს მოჯადოებული წრე იარსებებს.”

* * *

არჩევნებისთვის აქტიური სამზადისი აქვთ დაწყებული ლეიბორისტურ პარტიას. ისინი მერის კანდიდატურის შერჩევაზე, პარტიული სიის შედგენაზე და საარჩევნო პროგრამის ფორმირებაზე მუშაობენ.

„მერის კანდიდატურასთან დაკავშირებით ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობთ, რადგანაც გვაქვს სურვილი, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს შორის იქნას მიღწეული შეთანხმება მერობის საერთო კანდიდატურის წარმოდგენის შესახებ, რაც ბევრად ზრდის სახელისუფლებო კანდიდატის დამარცხების შანსს. ამდენად, ეს პროცესი მიმდინარეობს და თუ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, ოპოზიციურ პარტიებს შორის ლეიბორისტულ პარტიას აუცილებლად ეყოლება ღირსეული მერობის კანდიდატი.“ - აცხადებს ლეიბორისტირი პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი სამსონ გუგავა.

რაც შეეხება პარტიულ სიას, ფორმირების პროცესშია, თუმცა როგორც პარტიაში აცხადებენ, ორივე შემთხვევაში, პარტიულ სიაში თუ მაჟორიტარად წარმოდგენილნი იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც თავისი საქმიანობით გამორჩეულნი არიან იდეის ერთგულებით, პრინციპულობით, საქმისადმი სიყვარულითა და წესიერებით. ესაა ის კრიტერიუმები, რომელიც მოეთხოვება ლეიბორისტების პარტიულ სიაში მყოფ კანდიდატებს. რადგან თვლიან, რომ ეს უნარ-ჩვევებია საჭირო იმ პროგრამის განსახორციელებლად, რომელსაც ისინი თავაზობენ ქუთაისის მაცხოვრებლებს.

ლეიბორისტების ქუთაისს რეგიონალურ ლოდერად განიხილავენ და თვლიან, რომ მისი სამომავლო განვითარება სწორედ ამ მიმართულებით უნდა მოხდეს. „ქუთაისი - ეს არის ქალაქი, რომელიც გეოგრაფიულადაც და პოლიტიკურადაც წარმოადგენს იმერეთის და არამარტო იმერეთის, ასევე - დასავლეთ საქართველოს ცენტრს, ნებისმიერმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, რომ ქუთაისი გადააქციოს რეგიონალურ ლიდერად. უპირველესი,რამ, რაც ქალაქსა და ქვეყანას აწუხებს, ეს არის უმძიმესი სოციალური ფონი, მისი დაძლევის ერთადერთი საშუალება ახალი სამუშაო ადგილების შექმნაა. ხელისუფლება კი ვალდებულია, თავად განახორციელოს შესაბამისი აქტივობები , ანუ შეძენილი უნდა იქნას თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზები და უნდა დაფუძნდეს როგორცმუნიციპალური საწარმოები , რაც ნაწილობრივ გადაჭრის დასაქმების პრობლემას და ასევე ქალაქს გაუჩნდება დამატებითი შემოსავლები, ასევე, აუცილებელია, ქალაქს ჰქონდეს უფასო მუნიციპალური საავადმყოფო , სადაც ნებისმიერ ჩვენს მოქალაქეს ექნება მკურნალობის ღირსეული შესაძლებლობა . რაც შეეხება განათლებას, ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენცია არ ცდება ბაღების მეურვეობის თემას, აქაც რადიკალურად შესაცვლელია მიდგომები. ქალაქმა უნდა შექმნას საგანმანათლებლო ფონდი, რომელმაც განათლების მიმართულებით ბევრი ვალდებულება უნდა აიღოს”. - აცხადებს სამსონ გუგავა.

* * *

ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისთვის ემზადებიან „ევროპულ საქართველოშიც“.

„ევროპული სქართველოს“ ქუთაისის ორგანიზაციის ლიდერი გიორგი თევდორაძე ქუთაისის მერობის კანდიდატურის თაობაზე სუბიექტურ აზრს გვიზიარებს: " ჩემი სუბიექტური იდეალი,ზოგადად, ლუკა ასათიანია. იყო ასეთი ადამიანი. მისი ფან-კლუბის წევრი ვარ და უპირიანი იქნება, თუკი ასეთი ადამიანი გახდება ქუთაისის მერი. თუ დღევანდელი პოლიტიკური კონიუქტურის გათვალისწინებით მეკითხებით, მე ქუთაისის მერად მოვიაზრებ ისეთ ადამიანს,რომელიც გავლით არ იქნება ჩამოსული ქუთაისში და ნამდვილად ეყვარება ეს ქალაქი. ქუთაისის ბევრი ხელმძღვანელი ხელჩანთბზე ჩამომჯდარი იყო აქ ჩამოსული. ცხადია, ასეთი ადამიაანების პასუხისმგებლობა სხვანაირია. მე ქალაქელობას არავის ვუწუნებ,მაგრამ გავლით ჩამოსული ადამიანი ვერ იქნება იმ ამოცანების შემსრულებელი,რის წინაშეც დგას ქუთაისი. ერთია,შენი ბავშვობის ქალაქი და მეორეა შენი გარდაცვალების ქალაქი. ქუთაისის მერობას სჭირდება სიმამაცე და ჟინი,რადგან ჯერ კიდევ თბილისიდან წამოსულ ბენეფიტებზეა დამოკიდებული ბევრი პროექტის განხორციელება. ამიტომ აუცილებელია, რომ მომავალი მერი იყოს მამაცი და ქუთაისზე უზომოდ შეყვარებული, რათა ამ ბრძოლაში ჩაერთოს.

პარტიული სიის პირველ ათეულზე ჩვენ ჯერ ვმსჯელობთ. ეს საკმაოდ ცოცხალი და დინამიური პროცესია. თუმცა, შეირჩევა ისეთი ადამიანები,რომლებიც პარტიასაც და ქალაქსაც პოლიტიკურ წონას შემატებენ. ასეთი ადამიანები "ევროპულ საქართველოში" ნამდვილად მოიძებნებიან.

გაგრძელება **მე-2 გვერდზე**

PS news.ge

ISSN 1987-7056

9 771987 705004

ბიზნეს-პროექტის განხორციელების რეფლექსია ქუთაისის მე-7 საჯარო სკოლაში

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში სასწავლო პროგრამა „მეწარმეობის საფუძვლები“ ინოვაციურია. პროგრამის მიზანია, მოსწავლეებს გამოუმუშაოს მეწარმეობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, გააცნოს მათ ბიზნესისა და ეკონომიკის საფუძვლები პრაქტიკაში. დაანახოს თავისუფალი მეწარმეობის ღირსებები, გაუჩინოს პროფესიონალად ჩამოყალიბების სურვილი და აქციოს ისინი თავისუფალ მოქალაქეებად დემოკრატიულ საბაზრო ეკონომიკის საქართველოში.

პროგრამის პრინციპებია : კეთილსინდისიერება, პიროვნების პატივისცემა, პირადი განვითარება, მეწარმეობის სულისკვეთება, გუნდური მუშაობა და ლიდერობა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის მე-7 საჯარო სკოლის მე-10/1 კლასში შედგა აქციონერთა საბჭო. მოეწყო პრეზენტაცია.მიზნად დავისახეთ კომპანიის შექმნა. შეიქმნა მინი კომპანია „დეა“. პრეზიდენტი გვანცა ბაბუნაშვილი, ფინანსური მენეჯერი - ნინო ბაშალეიშვილი, ადმინისტრაციის მანეჯერი - საბა კაცაძე, მარკეტინგის მენეჯერი -ნიკა ჭოხონელიძე, წარმოების მენეჯერი - გიორგი შავგულიძე, გაყიდვების მენეჯერი - მარი ნამიჭეიშვილი.

მოსწავლეებმა მასწავლებლის-,მედეა მუხაშავრიას დახმარებით შეადგინეს ბიზნეს გეგმა. ბავშვები დაიყო ჯგუფებად. მიიღეს გადაწყვეტილება, შეექმნათ პროდუქცია (ყელსაბამები, სამაჯურები, საყურეები). პროდუქციის შექმნის შემდეგ გააკეთეს რეკლამა მთელ სკოლაში. მოეწყო გამოფენა-გაყიდვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც მოსწავლეებმა,ისე - მასწავლებლებმა.

როგორც ველოდით, კომპანია საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. შესაბამისად, წარმატება მოიპოვეს აქციონერებმაც. ჩადებული თანხა გაუორმაგდათ. კომპანიის მიზანიც ეს იყო - „ნაკლები დანახარჯი - მეტი მოგება“. მინი კომპანიის ჩამოყალიბებამ მოსწავლეებს ცხოვრებისეული გამოცდილება მისცა, ასწავლა გუნდური მუშაობა. გუნდში ყველაფერი ნდობისა და პასუხისმგებლობის გრძნობაზე იყო დამყარებული. გუნდის წევრები დამეგობრდნენ, ითვალისწინებდნენ ერთმანეთის აზრს, ჩამოუყალიბდათ მეწარმეობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, გაეცნენ ეკონომიკის საფუძვლებს და რაც მთავარია, გაუჩნდათ პროფესიონალად ჩამოყალიბების სურვილი.

„ფემინიზმის თავგადასავალი“ ფემინისტური კრებულის პრეზენტაცია ქუთაისში

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ორგანიზებით ქუთაისში თანამედროვეობის გამორჩეული ფემინისტი ფილოსოფოსის, ნენსი ფრეიზერის წიგნის პრეზენტაცია გაიმართა.

"ფემინიზმის თავგადასავალი" 1985-დან 2010-წლმდემდე დაწერილ ესსეებს აერთიანებს. აღნიშნული წიგნი ავტორის ბოლო კრებულია და მასში ფილოსოფოსის 40-წლიანი მოღვაწეობაა აღწერილი. წარსულის ანალიზთან ერთად, ფრეიზერი თანამედროვეობის გამოწვევებსაც აფასებს და ფემინისტური ბრძოლის ახალ პერსპექტივებს სახავს.

კრებულის შინაარსობრივ მხარეზე აუდიტორიას გიორგი ჩუბინიძე ესაუბრა,-რომელმაც პუბლიკაცია ქართულ ენაზე თარგმნა.

პრეზენტაციის შემდეგ დისკუსია გაიმართა. აუდიტორიის შეკითხვებს და მოსაზრებებს გიორგი ჩუბინიძესთან ერთად, პასუხობდა სოფიო ჯაფარიძე, "სოლიდარობის ქსელი- მშრომელთა ცენტრის თანადამფუძნებელი". მან აუდიტორიას ფემინისტური ხედვის ამერიკული გამოცდილება გააცნო და ქართულ გამოწვევებზეც ისაუბრა.

"ჩვენ ხშირად გვისაუბრია გენდერისა და ფემინიზმის არსის შესახებ, მაგრამ დღეს ხაზი გაესვა სოციალური როლის მნიშვნელობას ფემინიზმის გაძლიერებაში, თუ როგორი უნდა გახდეს საზოგადოება, რათა ფემინიზმის სწორად გაგება მოხდეს. ბიოლის ფონდი კიდევ შემოგთავაზებთ მსგავსი ტიპის შეხვედრებს." - განაცხადა ქეთევან ბერძენიშვილმა, ბიოლის ფონდის კოორდინატორმა ქუთაისში.

ლიკა დევდარიანი

ეროვნული ბანკი ქართული ვაზის თემაზე შექმნილი საკოლექციო მონეტის რეალიზაციას იწყებს

7 ივლისიდან, საქართველოს ეროვნული ბანკიმა ქართული ვაზის თემაზე შექმნილი საკოლექციო დანიშნულების 5 ლარის ნომინალის ვერცხლის მონეტის რეალიზაცია დაიწყო.

აღნიშნული მონეტის გამოშვებით, საქართველოს ეროვნული ბანკი ეხმაურება 2017 წელს საფრანგეთის ქალაქ ბორდოში დაგეგმილ ღვინის საერთაშორისო გამოფენას, სადაც საქართველო პირველი საპატიო სტუმარი და მევენახეობა - მეღვინეობისადმი მიძღვნილი ღონისძიების მთავარი მასპინძელია.

მონეტის ავერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს ქვევრის სქემატური გამოსახულება პირობითი ჭრილით. მუქი წითელი ფერით გამოსახულია ღვინო ქვევრში. ქვევრს გასდევს ვაზის გამოსახულება. მონეტის რკალს ქვედა ნაწილში წრიულად გასდევს შემდეგი წარწერები: "საქართველო", "2017", "GEORGIE"("საქართველო" ფრანგულ ენაზე), "5 ლარი".

მონეტის რევერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს საფრანგეთის ქალაქ ბორდოში მდებარე ღვინის ცივილიზაციის მუზეუმის გრაფიკული გამოსახულება. მონეტის მარჯვენა ზედა ნაწილში გამოსახულია ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი და ლარის სიმბოლო, ხოლო რკალს წრიულად გასდევს წარწერა ფრანგულ ენაზე "LA GÉORGIE - PREMIER VIGNOBLE INVITÉ DE LA CITÉ DU VIN DE BORDEAUX" (საქართველო - ბორდოს ღვინის ცივილიზაციის ცენტრის პირველი საპატიო სტუმარი).

მონეტა, რომლის გამოშვების რაოდენობა 1500 ცალია, იაპონიის ზარაფხანაში (Japan Mint) მოიჭრა. მონეტის სარეალიზაციო ფასი 60 ლარია და მისი შეძენა შესაძლებელია დღეიდან, როგორც ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში (მის: თბილისი, კახეთის გზატკეცილი N72), ისე ეროვნული ბანკის ვებგვერდზე განთავსებული ონლაინმაღაზიის https://www.moneymuseum.nbg.gov.ge/index.php?m=2 მეშვეობით.

პარტიების წინასაარჩევნო სამზადისი ქუთაისში და მერობის კანდიდატურათა ახალი ვერსიები

ზოგს „დიმიტრი გელოვანი“ უნდა მერად, ზოგი „ლუკა ასათიანის“ ფანია...

პირველი გვერდიდან

ჩვენი პარტია ისეთი ადამიანებისგანაა დაკომპლექტებული,რომლებიც საკმაოდ ძლიერ გუნდს ქმნიან რეგიონის მასშტაბით. ჩვენთვის მთავარი პოლიტიკური იდეა-კრედო, ეს არის ქუთაისისთვის საპარლამენტო ქალაქის სტატუსის შენარჩუნება. ჩვენი გუნდი ამკუთხით „ჯვაროსნულ ომს“ წამოიწყებს რეგიონის მასშტაბით.

ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში,-პენსიას გავზრდით 20 ლარით, გავაგრძელებთ იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს,რომლებიც 2009 წელს იყო დაწყებული, ადმინისტრაციულ ხარჯებს შევამცირებთ. თუ დეტალური გეგმებიგაინტერესებთ, ჯერ წინასაარჩევნო პროგრამა დეტალურად არ გვაქვს გაწერილი, დადუღების პროცესშია და როცა ამის დრო მოვა, გავაცნობთ საზოგადოებას. თუმცა, ახლავე შემიძლია, გითხრატ, რომ ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში, ქუთაისი არ იქნება ის ქალაქი, სადაც მხოლოდ ერთგულების გამო იცხოვრებენ."

***

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ქუთაისის ორგანიზაციაში გვიდასტურებენ ფაქტს იმის შესახებ, რომ ქალაქის მერის თანამდებობაზე გრიგოლ ბახტაძის კანდიდატურა რეალურად განიხილება. ხოლო პარტიული სიის პირველ ათეულთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, ჩამოყალიბებულნი არ არიან. თუმცა, როგორც ქუთაისის ორგანიზაციის ხელძღვანელი დავით ჯანაშია აცხადებს: „პარტიულ სიაში აუცილებლად იქნება დაცული გენდერული თანასწორობა.

,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ყოველთვის ებრძოდა ძალადობას, უსამართლობასა და ავტორიტარიზმს. ფაქტია, რომ მმართველი პარტია ამჟამად ბევრი მიმართულებით - სოციალური მდგომარეობა, საგარეო პოლიტიკა, საკონსტიტუციო რეფორმა, ადამიანის უფლებების დაცვა -განიცდის წარუმატებლობას. ჩვენ ყველა ამ მიმართულებით გვაქვს რეალისტური ხედვა გაერთიანებული, წარმატებული, დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყნის ასაშენებლად.“-აცხადებს „პატრიოტტა ალიანსის“ ქუთაისელი ლიდერი.

***

გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“ სხვა პოლიტიკური პარტიებსაც დაუკავშირდა, თუმცა მათ ამ დროისთვის ვერ მოასწრეს ოფიციალური პასუხების მოცემა. შესაბამისად, მომავალ ნომერში ამ პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო სამზადისს გაგაცნობთ.

მარი ტაბიძე

ქუთაისში წერეთლის ქუჩა გადაიკეტა

ქუთაისის მერიის გადაწყვეტილებით, 5 ივლისდან ერთი თვის განმავლობაში დაიკეტა წერეთლის ქუჩა (ჯიბლაძის ქუჩიდან, აღმაშენებლის გამზირამდე) და შესაბამისად, შეიცვალა ტრანსპორტის მოძრაობის განრიგიც. ქუჩის დაკეტვის მიზეზი ქალაქში მიმდინარე წყლის მასშტაბური სამუშაოებია. შესაბამისად ამ ხნის განმავლობაში შეცვლილი სვლაგეზით იმოძრავებენ ავტობუსები და მიკროავტობუსები:

1 მარჯვენა; N3; 200 მარჯვენა

წერეთლის ქუჩა - ფანჯიკიძის ქუჩა - თამარ მეფის ქუჩა - გოგებაშვილის ქუჩა -თბილისის ქუჩა - სოლომონ პირველის ქუჩა - თამარ მეფე უნივერსიტეტი - მანდარიას ქუჩა -წერეთლის ქუჩა ბალახვნის ცენტრი.

№38; №16;

წერეთლის ქუჩა - ფანჯიკიძის ქუჩა - თამარ მეფის ქუჩა - გოგებაშვილის ქუჩა -თბილისის ქუჩა -სოლომონ პირველის ქუჩა - თამარ მეფე უნივერსიტეტი - წითელი ხიდი.

№100 და №3

წერეთლის ქუჩა - ფანჯიკიძის ქუჩა - თამარ მეფის ქუჩა - გოგებაშვილის ქუჩა -თბილისის ქუჩა - სოლომონ პირველის ქუჩა -კუპრაძის ქუჩა.

28; 23ა; 21; 15.

თამარ მეფის ქუჩა - ცენტრალური მოედანი - თბილისის ქუჩა - სოლომონის პირველის ქუჩა - მანდარია ქუჩა - წერეთლის ქუჩა - ბალახვნის ცენტრი - აღმაშენებელი.

ავტობუსი პირველი წრიული მოედანი თბილისის ქუჩა - სოლომონ პირველის ქუჩა - თამარ მეფის ქუჩა -მანდარიას ქუჩა - წერეთლის ცენტრი -აღმაშენებელი.

№22 ავტობუსი და №35

იმოძრავებს მხოლოდ ჯავახიშვილის ქუჩა - რუსთაველის ქუჩა -აღმაშენებლის მოედანი - წითელი ხიდი

№20 მიკროავტობუსი

რუსთაველის ქუჩიდან შევა ცენტრალურ მოედანზე და გააგრძელებს მოძრაობას წითელი ხიდის მიმართულებით.

პოლონური სავაჭრო ქსელიდან კონტრაფაქციული ქართული ღვინოები ამოიღეს

ქართული და ევროპული ოფიციალური უწყებების ერთობლივი-ძალისხმევის შედეგად, პოლონეთის ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო ქსელიდან კონტრაფაქციული ქართული ღვინოები გაყიდ-ვებიდან ამოიღეს.

როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, გიორგი სამანიშვილმა აღნიშნა, პოლონეთის ერთ-ერთ სავაჭრო ქსელში აღმოჩენილ, უკრაინაში წარმოებულ ღვინის ეტიკეტებზე დატანილი იყო ქართული დაცული ადგილწარმოშობის დასახელება - „კახეთი“.

მისივე ინფორმაციით,ღვინის ეროვნულმა სააგენტომ და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა - საქპატენტმა მითითებულ კონტრაფაქციულ საქონლთან დაკავშირებით, მიმართეს ევროკომისიის გენერალურ დირექტორატს სოფლის მეურნეობისა და რეგიონალური განვითარების საკითხებზე.

,,ევროკომისიის გენერალური დირექტორატის მიერ პოლონეთის სოფლის მეურნეობისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროსადმი გაცემული მითითების შესაბამისად, პოლონეთის სუპერმარკეტების ქსელში ინსპექტირება განხორციელდა. შედეგად დადგინდა, რომ ღვინოუკრაინაში იყო წარმოებული და იყიდებოდა ქართული დაცული ადგილწარმოშობის დასახელების („კახეთი“) გამოყენებით, რის შემდგომ, იმიტირებული ქართული ღვინოები გაყიდვებიდან ამოიღეს“ - აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

მთავრობამ თამბაქოს ინდუსტრიის ჩარევით კანონი დაარღვია

თამბაქოს კონტროლის ალიანსის განცხადება

2017 წლის 17 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით 2017 წლის 1 ივლისამდე საქართველოს მთავრობას თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზებული შეფუთვის შესახებ ნორმატიული აქტი უნდა მიეღო, რომელიც 2018 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედდეს.

ჯანდაცვის სამინისტრომ თამბაქოს კონტროლის სპეციალისტებთან და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად მოამზადა და დადგენილი წესისამებრ, 3 კვირის წინ მთავრობის ელექტრონულ სისტემაში ატვირთა გამართული, მაღალი კლასის დოკუმენტი, რომელზეც სამინისტროებს პრაქტიკულად შენიშვნა არ აქვთ. თუმცა, რატომღაც 1 ივლისამდე დოკუმენტს ხელი არ მოეწერა, რადგან როგორც აღმოჩნდა ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს ფორმალური, აბსურდული ხასიათის შენიშვნები აქვთ.

ეკონომიკის სამინისტრომ საერთოდაც ფორმალურად, მხოლოდ სიტყვიერად შენიშნა, ტექსტი არც წარმოუდგენია, ფინანსთა სამინისტროს კი არარელევანტური შენიშვნა ჰქონდა, რომელიც ჯანდაცვის სამინისტრომ გაითვალისწინა. მიუხედავად ამისა, ფინანსთა სამინისტრომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დოკუმენტს ვიზა არ მისცა.

დარწმუნებული ვართ, დოკუმენტი ხელოვნურად, გამიზნულად, თამბაქოს ინდუსტრიის დაკვეთით დაიბლოკა, რათა თამბაქოს ახლადმიღებულ კანონში ცვლილების მოსამზადებლად და სადა შეფუთვის წესის ამოქმედების ვადის გადასატანად (პრაქტიკულად მის გასაუქმებლად) ნიადაგი მომზადებულიყო.

რაც მთავარია, აღნიშნული კანონის დარღვევით, მთავრობამ თამბაქოს ინდუსტრიას ხელოვნურად შეუქმნა საფუძველი, უჩივლოს საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო სასამართლოებში და სარჩელები მოიგოს კიდეც, რაც

ერთის მხრივ სერიოზულ ჯარიმებს და რაც მთავარია ქვეყნის დისკრედიტაციას გამოიწვევს.

სამწუხაროდ, ფაქტია, რომ საქართველოს მთავრობამ, კერძოდ, კონკრეტულმა თანამდებობის პირებმა პირდაპირ დაარღვიეს საქართველოს კანონი და კონსტიტუციით ნაკისრი ვალდებულება. მოვითხოვთ უმკაცრესად დაისაჯოს ყველა ის თანამდებობის პირი, რომელთა მოქმედებამაც განაპირობა საქართველოს მთავრობის მიერ კანონის დარღვევა. მოვითხოვთ ყველა ამ პირის თამბაქოს ინდუსტრიასთან ურთიერთობების გასაჯაროებას და რაც მთავარია დოკუმენტის დაუყოვნებლივ დამტკიცებას. წინააღმდეგ შემთხვევაში თამბაქოს კონტროლის ალიანსი გამოიყენებს ყველა სამართლებლივ ბერკეტს და პროტესტის ფორმებს და დამნაშავე ჩინოვნიკების წინააღმდეგ.

განათლების საერთაშორისო ცენტრი საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის პროგრამას აცხადებს

განათლების საერთაშორისო ცენტრი საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების 2017 წლის პროგრამას აცხადებს.

სასტიპენდიო პროგრამის მიზანია, საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებს მიეცეთ საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა. საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ საჯარო სამსახურში დასაქმებული პირი შეძლებს უფრო ეფექტიან საქმიანობას. პროგრამის ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის საჭირო მაღალკვალიფიციური დაკომპეტენტური კადრების მომზადება.
ამ სასტიპენდიო პროგრამის მეშვეობით სახელმწიფო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში დასაქმებული პირები შეძლებენ საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის გავლის გზით თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, პროფესიული ჩვევების გაუმჯობესებას. კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის შინაარსი და თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს დაკავებული თანამდებობით და ისრებული საქმიანობის შინაარსს.
კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა შეიძლება იყოს არაუმეტეს 3 თვის ვადის ხანგრძლივობის.
კონკურსის საფუძველზე გაიცემა სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება.
კონკურსის მსვლელობისას მხედველობაში მიიღება ინფორმაცია კონკურსანტის მიერ მოპოვებული ინსტიტუციური თანადაფინანსების შესახებ. პროგრამა არ ითვალისწინებს ნებისმიერი არასტანდარტული, მათ შორის: სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმის მქონე, ელექტრონული ფორმის (online), დისტანციური, ინტეგრირებული, ე.წ. "Executive" პროგრამების დაფინანსებას.
განაცხადის შევსება და შესაბამისი დოკუმენტაციის (მათ შორის ინგლისურ ენაზე შედგენილის) წარმოდგენა წარმოებს ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინტეგრირებულ ელექტრონულ სარეგისტრაციო სისტემაში https://app.iec.gov.ge/ ატვირთვის გზით.
საკონკურსო ვადაა -
2017 წლის 30 ივნისიდან
2017 წლის 20 ივლისის ჩათვლით
(თბილისის დროით 19:00 სთ).

საკონკურსო პროცესისა და მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ - http://iec.gov.ge/4306.

ცესკოს განცხადება პარტიების, საინიციატივო ჯგუფებისა და დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაციის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნები 2017 წლის ოქტომბერში გაიმართება. საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) ყველა დაინტერესებულ პირს შეახსენებს არჩევნებში მონაწილეობისთვის აუცილებელ პირობებს.

პარტიებმა, რომელთაც სურთ არჩევნებში მონაწილეობა, უნდა გაიარონ საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი რეგისტრაციის პროცედურები, კერძოდ:

პარტია, რომელიც რეგისტრირებული იყო 2016 წლის პარლამენტის არჩევნებისას (არჩევნებში მონაწილეობდა დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში) ან/და არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად სათანადო განცხადებით მიმართავს ცესკოს თავმჯდომარეს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა.

პარტიამ, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში ან არ იყო რეგისტრირებული 2016 წლის პარლამენტის არჩევნების დღისთვის, ცესკოს განცხადებით უნდა მიმართოს მიმდინარე წლის 15 ივლისამდე და მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1-ლი აგვისტოსი, კვალიფიციურმა პარტიამ ცესკოს უნდა წარუდგინოს სულ ცოტა 1000, ხოლო დანარჩენმა პარტიებმა - სულ ცოტა 25 000 მხარდამჭერთა სია.

ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი, მუნიციპალიტეტის მერობის/საკრებულოს მაჟორიტარი წევრობის კანდიდატის წარდგენის მიზნით, მიმართავს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა. საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა შესაბამის საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღისა, უნდა წარუდგინოს მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია (მხარდამჭერების საჭირო ხელმოწერათა რაოდენობა განისაზღვრება ცესკოს განკარგულებით არჩევნების დანიშვნის დღეს).

* * *

არჩევნებზე დაკვირვების მიზნით, დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაციის პროცესი იწყება არჩევნების დანიშვნისა და კენჭისყრის დღის ოფიციალურად გამოცხადებიდან. ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ საარჩევნო ადმინისტრაციას რეგისტრაციის მიზნით უნდა მიმართოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციამ - არაუგვიანეს მე-7 დღისა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც სურს არჩევნებზე მონიტორინგის განხორციელება, შესაბამისიწესითუნდა იყოსრეგისტრირებულიკენჭისყრისდღემდეარაუგვიანესერთიწლისადამისიწესდებაითვალისწინებდესარჩევნებისმონიტორინგსან/დაადამიანისუფლებათადაცვას.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია მიმართავს საარჩევნო რეგისტრაციებით დაინტერესებულ მხარეებს გაითვალისწინონ კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები.

განცხადება

განჩინება

ს/ს 2-1310-17
საქართველოს სახელით

საჯარო შეტყობინების შესახებ

2017 წლის 31 მაისი
ქ.ქუთაისი

ქუთაისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე: მალხაზ ჩუბინიძე
განმცხადებელი: ინნა ბარშოვი

მოთხოვნის არსი: მოძრავი ნივთის ავტომანქანა OPEL OLIMPIA-სახ.ნომერი DAM 751(ძველი სახ.ნომერი - X1613ГГ); ნაცრისფერი; გამოშვების წელი 1938. ძრავის ნომერი 02534,შასის ნომერი 83680; ტექნიკური პასპორტი AЮ N 898102 - უპატრონოდ ცნობა და საკუთრებაში გადაცემა.
სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე ,განიხილა გაზეთში საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების საკითხი.
სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 337-ე, 341-ე, 284-ე, 205-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა), შემდეგი სახით:

1.1 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე მალხაზ ჩუბინიძე) წარმოებაშია სამოქალაქო საქმე 2/1310-17, ავტომანქანა OPEL OLIMPIA - სახ.N; DAM751 (ძველი სახ. N; X1613ГГ); ნაცრისფერი; გამოშვების წელი 1938.ძრავის ნომერი-02534, შასის ნომერი 83680, ტექნიკური პასპორტი AЮ N;
98102, უპატრონოდ ცნობისა და საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.
1.2. განმცხადებელი ინნა ბარშოვი
1.3 ავტომანქანა OPEL OLIMPIA-სახ.N; DAM751
ნაცრისფერი;
გამოშვების წელი 1938.
ძრავის ნომერი - 02534
შასის ნომერი - 83680
ტექნიკური პასპორტი AЮ N; 898102

ავტომანქანის მეპატრონე, რომლის შესახებაც განცხადებულია, ვალდებულია პუბლიკაციის დღიდან, 3 თვის გასვლამდე განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს განცხადება ავტომანქანაზე თავისი უფლების შესახებ და ამასთან ერთად, წარადგინოს საბუთის დედანიც.

2. თუ სასამართლოში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე. თუ დანიშნული ვადის გასვლამდე, სასამართლოში არ შემოვა განცხადება, ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

3. საქმეს მოძრავი ნივთის უპატრონოდ აღიარებისა და საკუთრებაში გადაცემის შესახებ სასამართლო განიხილავს პუბლიკაციის დღიდან 3 თვის ვადის გასვლის შემდეგ, თუ ავტომობილის მფლობელისგან არ შემოვიდა 339-ე მუხლში მითითებული განცხადება.

4. საჯარო შეტყობინება (ცნობა) გამოქვეყნდეს ადგილობრივ გაზეთში.
5. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე მალხაზ ჩუბინიძე

ნათია დაშნიანი:
„პოეზია ჩემთვის სულის მუსიკაა, გულის ამოძახილია!“

ადამიანი განუწყვეტლივ ურთიერთობაში იმყოფება ბუნებასთან, ოჯახთან სახელმწიფოსთან. განუწყვეტლივ ისწრაფვის ჰარმონიისაკენ. ჰარმონია კი ხშირად ირღვევა. პოეზია სწორედ დარღვეული ჰარმონიის აღდგენის ერთ-ერთი ფორმაა. თანამედროვე კომუნიკაციების საშუალებით შესაძლებელი გახდა, გავეცნოთ ადამიანებს, რომლებიც ისწრაფიან იმისკენ, რომ სულში მუდივად გვქონდეს ჰარმონია. ჩვენს ირგვლივ ტრიალებენ, ქმნიან, იღვწვიან და ჩვენგანვე ელოდებიან კრიტიკას და შეფასებას. მინდა გაგაცნოთ **ნათია დაშნიანი.** მოკრძალებული და ლამაზი ლექსების ავტორი. როცა შევეხმიანე და ინტერვიუ ვთხოვე, მიპასუხა,რა გავაკეთე ჯერ, ყურადღება რომ დავიმსახურეო.

მისი შემოქმედება მრავალმხრივია: სიყვარული, ადამიანური ყოფა, მუდმივი სწრაფვა უფლის მიერ დასახულ გზებზე, კარგად ჩანს მის ლექსებში. შეუმჩნეველი არ დარჩენილა ფართო მასებისთვის ნათიას შემოქმედება და ბატონმა დავით ახლოურმა, ,,მზის არილში“ დაბეჭდა მისი რამდენიმე ლექსი.

და აი, ჩვენი დიალოგიც შედგა:

- ნათია, დღეს ჩვენს მკითხველთან შენი დებიუტია, გაეცანი მკითხველს...

- მოგესალმებით. მე ვარ ნათია დაშნიანი, 29 წლის, ლეჩხუმიდან. ვწერ ლექსებს. ერთი წელია, რაც ფართო საზოგადოება ჩემს პოეზიას ეცნობა ინტერნეტ სივრცით. მანამდე რაიონულ გაზეთებში იბეჭდებოდა. კრებული გამოცემული არ მაქვს.

-რა არის შენთვის პოეზია?

- პოეზიას სულის მუსიკას ვეძახი. ჩემთვის ლექსი გულის ამოძახილია

- გაიხსენე შენი პირველი ლექსი.

- პირველი ლექსი 10 წლისამ დავწერე ძაღლზე.

- ლადო ასათიანის მხრიდან ხარ,ხომ არ იგრძნობა შენს პოეზიაშიმისი გავლენა?

- არ მეგულება ქართველი, ვისაც ლადოს უკვდავი პოეზია არ უყვარდეს. ვის გულსაც ერთხელ მაინც არ დასდებია მალამოდ." ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა". მეამაყება, რომ მისი კუთხიდან ვარ.

- ნათია, შენი აზრით,რა უნდა მოგცეს პოეზიამ?

- პოეზია მკითხველის გულამდე უნდა დადიოდეს,სულიერ საზრდოს აწვდიდეს...

- სიყვარულს დიდი ადგილი უჭირავს შენს შემოქმედებაში.მაინც, რა არის სიყვარული, რას ფიქრობ?

- რაც შეეხება სიყვარულის ადგილს ჩემს შემოქმედებაში , დავიწყებ იქედან, რომ ბავშვობიდანვე გატაცებული ვიყავი პოეზიის ამ ჟანრით (სატრფიალო პოეზია). ვეძებდი, ვეცნობოდი სახვადასხვა პოეტის შემოქმედებას , რამაც შემდგომში დიდი გავლენა იქონია.

- როგორც ვიცი, ,,მზის არლში“ დაიბეჭდა შენი ლექსები. რას მეტყვი ამაზე?

-„მზის არილის“ სამ ტომში შესულია ჩემი ლექსები. რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ბატონ დავით ახლოურს. მან შეძლო და თანამედროვე ნიჭიერი პოეტები გააერთიანა. წერის სტიმული მისცა ახალგაზრდებს.

- შენი აზრით, როგორი უნდა იყოს პოეტი, განსაკუთრებით - თანამედროვე?

- პოეზიას საზღვრები არ აქვს...თუმცა, გარკვეული კრიტერიუმებით მაინც ფასდება ლექსი. პოეტი უნდა ეცადოს, დაიცვას ისინი და ამავდროულად, ახალი სიტყვა თქვას პოეზიაში.

- საყვარელი პოეტი თუ გყავს?

- რთულია, საყვარელი პოეტი გამოვყო, მაგრამ ჩემთან ყველაზე ახლოს მაინც ვთვლი, რომ ტერენტი გრანელია.

- თანამედროვე პოეტებიდან ვინ მოგწონს?

- თანამედროვე პოეტებიდან - ვაჟა ხორნაული, ტარიელ ხარხელაური, ედუარდ უგულავას და კიდევ ბევრი კარგი პოეტი გვყავს თანამედროვე....

- რას ეტყოდ შენს მკითხველს?

- მადლობა სტიმულისთვის და დაფასებისთვის.

ესაუბრა **ნატო ყურაშვილი**

P.S. აქვე გთავაზობთ ნათია დაშნიანის რამდენიმე ლექსს...

ნათია დაშნიანი

მთვარის ლექსი

ნახევრადბნელია ღარიბი ოთახი,
იცვლება რაღაც და შენ რჩები უცვლელი,
უბრალო რითმის წყვილს უწოდე ოჯახი,
მაგიდის უჯრაში თაბახის ფურცლები
ელიან ჯადოსნურ კალმის წვერს,
ელიან....
ჩუმად ხარ, ვერ ფიქრობ, სიჩუმე გაგიჟებს,
ახლა რომ სიცოცხლე სიკვდილზე ძნელია
კარგად გრძნობ, არ გინდა ძარღვებში გაგიჯდეს
ამდენი უთქმელი ,უსისხლო წამება,
თან, ალბათ, ვინ იცის
მკითხველსაც იცოდებ,
თუ სული რითმების ხაფანგში გაება
თავს ვეღარ დაიხსნი, ეს უნდა იცოდე.
და უკანასკნელად მთვარე ჩანს ფანჯრებში,
იცვლება ბევრი რამ, ხარხარებ უცვლელი,
დაკარგე სიკვდილიც.. აქდიდხანს დარჩებით:
შენ, მთვარის ლექსი და თაბახის ფურცლები.

* * *

მეც მძლია სისუტემ,
ძლიერი არა ვარ,
ქალი ვარ ნაკლით და ღირსებით,
როცა მზე ამოდის წყვდიადის გულიდან
სიცოცხლით თავიდან ვივსები.
ბავშვივით შევყურებ
ვარსკვლავთა სარეცელს,
ვბრჭყვიალებ იმედის ბურთებად,
ძლიერი არა ვარ, უბრალოდ, ქალი ვარ,
ღვთისმშობელს სანთლებს რომ უნთებდა.

* * *

ცახცახებს საღამო
ცრემლებით ნაფერი,
იმ ვეღარმოსათმენს
გული რომ ითმენდა,
რა არის სიცოცხლე?-
გზა - სხვა არაფერი,
სათქმელი ფურცლებზე
დაფანტეს რითმებმა.
სიტყვებით რა გითხრა?-
სიზმარი ყოფილა,
რაც დღემდე ცხადი
თუ ნამდვილი მეგონა,
როდესაც მეგობრად
არავინ არ მყავდა,
ერთს ვგრძნობდი - პირიქით
- მე ვყავდი მეგობარს.
უბრალოდ, რატომღაც
გარედან ვუყურებ
ყოველთვის სამყაროს,
შლეგსა და ბნედიანს,
არ ვიცი ამდენი ნაღველი
სასჯელად, ხსნაა თუ
უკუღმა წასული ბედია.

სადაც არწივი იბუდებს

ქარაფებს გადაევლები
ჯიხვო, რქებგატოტილო,
დაგიგორდება ცრემლები,
ცაში მიმალვას ცდილობ.
გაფრენილ ტყვიას ირიდებ,
ლამის სიკვდილსაც სძლიე,
შენ საქართველოს კლდეები
შეგყვარებია ძლიერ.
ძარღვმოჭიმული ყურს უგდებ
მგლისმუხლა მონადირეს,
რამდენ ჯიხვს ცალად დატოვებს
და რამდენს აატირებს.
ლაღი ხარ, შეუშინარი,
ამაყ სულს როდი ფარავ,
მთის ნისლი შემოჰხვევია
მონადირეთაკარავს.
მიწას ტორს დაჰკრავ,
ნახტომით შეეკიდები ქარაფს.
ფილტვებში ჟანდგბადს იგუბებ,
ხშირი სუნთქვით და ქშენით,
სადაც არწივი იბუდებს,
ბინაც იქ არის შენი.

ქუთაისში 48 ოჯახისთვის განკუთვნილი სოციალური საცხოვრისის მოწყობა დასრულდა

ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე უსახლკარო ადამიანებისათვის სოციალური საცხოვრისის მოწყობა დასრულდა. ამ ეტაპზე ეზოს და მისასვლელი გზის მოწყობა მიმდინარეობს, რომელიც 289 000 ლარი ჯდება.

მიმდინარე სამუშაოები ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ საბინაო სამსახურის უფროსთან და თანამშრომლებთან ერთად დაათვალიერა. აღნიშნულ ადგილზე 4000კვ.მ დაწნეხილი ფილები იგება. ეზოსთან ახლოს ასევე მოეწყობა სპორტული მოედანი. კორპუსი, სადაც უსახლკაროები იცხოვრებენ 4 სართულიანია. საცხოვრებელი ფართით 48 ოჯახის დაკმაყოფილება მოხდება.

სოციალური საცხოვრისისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2 მილიონ ნახევარი ლარი გამოიყო. საცხოვრისის მშენებლობა უპრეცენდენტო შემთხვევაა. შენობა მერიის მფლობელობაში დარჩება და ის არ გადაეცემა ოჯახებს როგორც საკუთრება. ფართები იქნება დროებით სარგებლობაში და როცა მოქალაქის მდგომარეობა გაუმჯობესდება იმ ფართს სხვა გაჭირვებული ადამიანი გამოიყენებს.

კომისია ახლო მომავალში დაასრულებს მუშაობას, რის შემდეგაც დაიწყება შესახლების პროცესი.

საოჯახო საქმეების კალენდარი

13-14 ივლისს ნუ დაგვით სახლს, ამით ბარაქას გახვეტავთ სახლიდან - ივლისის საოჯახო საქმეების კალენდარი

დიახ, ასეთი კალენდარიც არსებობს - რომელ დღეს რომელი საქმიანობა უფრო გამართლებულია ან პირიქით. ამჯერად ივლისის საოჯახო კალენდარს წარმოგიდგენთ. ის მთვარის დღეებთან არის კავშირში და მისი გათვალისწინება ნამდვილად ღირს

1, 2, 22, 23, 25-27 ივლისი - კარგი დღეები სახლის საფუძვლიანად დასალაგებლად.

2, 22, 23, 25-27 ივლისი - დაემშვიდობეთ ძველ ნივთებს. განსაკუთრებით მათ, რომლებთანაც ცუდი მოგონებები გაკავშირებთ.

3-7, 17-19, 31, 31 ივლისი - არ გადაყაროთ ნივთები, სამოსი. მომავალში ისინი აუცილებლად დაგჭირდებათ.

13, 14 ივლისი - ნუ გამოხვეტავთ სახლს, ბარაქას გახვეტავთ სახლიდან.

1, 2, 20, 21, 24, 28, 29 ივლისი - უსიამოვნებების სახლიდან გასადევნად გამოგავეთ და სველი ჩვარიც მოუსვით იატაკს.

წყარო: http://www.shin.ge

P.S.
მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე • **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი • **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ᵇ • (0 431) 24-45-46. • psnews27@gmail.com • www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
Q — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.
გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**